ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4338331

ნომერი: AR1650929

თარიღი : 14.01.2019

გაცემის თარიღი : 17.01.2019

გაცნობის თარიღი : 18.01.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ქოჩიაშვილი პ/ნ 01007007385
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 76ბ ბ. 55

ორგანიზაცია:
- შპს NGS Group კოდი: 406073895

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. N47-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის მიზნით (საპროექტო ფუნქცია - ,,მრავალფუნქციული კომპლექსი/შენობა'') მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახილველ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის, რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), სადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების'' მიხედვით ,,მრავალფუნქციული კომპლექსი/შენობა'' არ წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვებ სახეობას, ხოლო ცალკე აღებული საოფისე და სასტუმრო ფუნქციები განეკუთვნება საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, შესაბამისად პირველ ეტაპზე საჭიროა დააზუსტოთ სრეკონსტრუქციო შენობის საპროექტო ფუნქცია და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების მოთხოვნით მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. N47-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის მიზნით (საპროექტო ფუნქცია - ,,მრავალფუნქციული კომპლექსი/შენობა'') მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.